დანართი №3

განსაზღვრულია

ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 27 სექტემბრის #9 ოქმით

პროფესორის ასისტენტობის კურსის ინსტრუქცია

პროფესორის ასისტენტობა არის სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი, რომლის შესრულება განსაზღვრულია წინამდებარე ინსტრუქციაში.

1. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში.

2. პროფესორის ასისტენტობის მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დოქტორანტის მომზადებას სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისთვის.

3.პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტთა ჯგუფში მეცადინეობების - ლექციის, სემინარის, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის საკითხების ან/და ტესტების მომზადებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ნაშრომების გასწორებასა და სადიპლომო ნაშრომების რეცენზირებას. პროფესორის ასისტენტობის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს განსაზღვრა და კურსის დაგეგმვა ხორციელდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის მიერ. პროცესი მიმდინარეობს დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ის მონაწილეობითა და მონიტორინგით.

4.პროფესორის ასისტენტობა მოიცავს 5 კრედიტს (1 კრედიტი - 25 საათი). პროფესორის ასისტენტობის საათობრივი დატვირთვის გაანგარიშების წესი თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს (იხ. დანართი 1).

5. პროფესორის ასისტენტობას შეაფასებს დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი, გეგმით გათვალისწინებული თითოეული შესრულებული სამუშაოს მიხედვით. შესრულებული სამუშაო ფასდება 100-ქულიანი სისტემით. სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება, თუ შეფასებისას დოქტორანტი დააგროვებს 51 და მეტ ქულას. პროფესორის ასისტენტობის შეფასებისათვის განკუთვნილი მაქსიმალური 100 ქულა, ჩაშლილია ქულებად ხუთი კომპონენტის მიხედვით. თითოეული კომპონენტის დადებითი შეფასებისათვის დაწესებული მინიმალური ზღვარი არის 50%. 50%-ზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, კომპონენტი ფასდება ნული ქულით.

6. თუ დოქტორანტი ამავდროულად არის თსას-ის ან საქართველოს კანონით ავტორიზებული სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოქმედი აკადემიური ან მოწვეული პირი, აქვს პედაგოგიური საქმიანობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება, შესრულებული აქვს ამ წესით გათვალისწინებული და დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრული პროფესორის ასისტენტობასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო, რომელიც თავისი მოცულობით უთანაბრდება ან აჭარბებს დადგენილ მოთხოვნებს (საათი, კრედიტი), შესრულებული სამუშაოს მტკიცებულებების საფუძველზე და ფაკულტეტის

გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შესაძლებელია ჩაეთვალოს [1] როგორც შესრულებული სამუშაო და მიენიჭოს ასისტენტ პროფესორობისთვის განკუთვნილი კრედიტები.

7. პროფესორის ასისტენტობის დადებით შეფასებად ითვლება:

- (A) ფრიადი -91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი -81-90 ქულა;
- (C) კარგი -71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი -61-70 ქულა;
- (E) საკმარისი -51-60 ქულა;

8. პროფესორის ასისტენტობის უარყოფით შეფასებად ითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და დამოუკიდებელი მუშაობით ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

9. პროფესორის ასისტენტობის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის მე-2 დანართში.

10. პროფესორის ასისტენტობით დოქტორანტი განივითარებს შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება - არჩევს სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმებს, სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიას, ამავდროულად, აანალიზებს პედაგოგიკის სფეროს აქტუალურ საკითხებს;

უნარი - გეგმავს სალექციო და სასემინარო მუშაობას, ეფექტურად წარმართავს სააუდიტორიო მეცადინეობებს სწავლების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. კრიტიკულად აანალიზებს საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე აფასებს სტუდენტების ცოდნის დონეს და მათ ნაშრომებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - დამოუკიდებლად წარმართავს სასწავლო პროცესს მიღებული ცოდნისა და უნარების ფარგლებში. სხვის აზრს სცემს პატივს და აქვს მოსმენის კულტურა; აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების დაცვით, იაზრებს პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას.

11. პროფესორის ასისტენტობის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შეფასება წარმოდგენილი იქნება ამ ინსტრუქციის დანართში მოცემული ფორმით (იხ. დანართი 3), რომელსაც ხელს აწერენ დოქტორანტის სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი.

[1] იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს 1.3 პუნქტით გათვალისწინებულ პროფესორის ასისტენტობისათვის დაწესებულ მოთხოვნებს, დოქტორანტი ვალდებულია შეასრულოს დარჩენილი/განსხვავებული სამუშაო.

დანართი №1 პროფესორის ასისტენტობის
საათობრივი დატვირთვის გაანგარიშების წესი

პროფესორის ასისტენტობის ფარგლებში აუცილებელია თითოეული დოქტორანტის შეფასება ქვემოთ მოცემული ხუთი კომპონენტის მიხედვით.

დროის ხანგრძლივობის განსაზღვრა ხდება შემდეგი პრინციპით: თითოეული კომპონენტის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოს უკავშირდება შესაბამისი საათობრივი დატვირთვა (საათობრივი დატვირთვის განრიგი იხ. ქვემოთ). შესრულებული სამუშაოს ხანგრძლივობა გამოითვლება აქტივობის რაობისა და ინტენსივობის გათვალისწინებით.

საათობრივი დატვირთვის განრიგი:
ა) საბაკალავრო/სამაგისტრო ერთი ნაშრომის რეცენზირება - 32 სთ.
ბ) ჩასატარებელი ლექციის მომზადება - 4 სთ.
მაგალითად, თუ დოქტორანტმა ჩაატარა 10 ლექცია, მაშინ ჩატარებული ლექციების რაოდენობას დაემატება თითოეული ლექციის მოსამზადებლად გამოყენებული დრო (10+10 x 4=50 სთ);
გ) სემინარის/პრაქტიკულის ჩასატარებლად მომზადება - 2 სთ;
მაგალითად, თუ დოქტორანტმა ჩაატარა 4 სემინარი/პრაქტიკული, მაშინ ჩატარებული სემინარის/პრაქტიკულის რაოდენობას დაემატება თითოეულის მოსამზადებლად გამოყენებული დრო (4+4x2=12);
დ) შუალედური/დასკვნითი გამოცდისთვის საკითხების მომზადება - 3 სთ;
ე) შუალედური/დასკვნითი გამოცდის ნაშრომის გასწორება - 2 სთ.

პროფესორის ასისტენტობის კრედიტის განსაზღვრა ხორციელდება საკონტაქტო საათების რაოდენობისა და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის დათმობილი დროის მიხედვით. ამა თუ იმ სამუშაოსთვის გამოყენებული საათების საერთო რაოდენობა იყოფა 25-ზე (1კრედიტი-25საათი) და მიიღება შესაბამისი ციფრი, რომელიც ჯამურად უნდა შეადგენდეს 5 კრედიტს, მაგალითად:

დოქტორანტმა პროფესორის ასისტენტობის ფარგლებში შეასრულა ა, ბ, გ, დ და ე პუნქტებით განსაზღვრული აქტივობები. დაწერა 2 სადიპლომო ნაშრომის რეცენზია, ამასთან, ჩაატარა 10 ლექცია, 2 სემინარი, შეადგინა საკითხები ერთი დასკვნითი გამოცდისთვის და გაასწორა შუალედური გამოცდის 2 ნაშრომი. ამ შემთხვევაში, კრედიტების რაოდენობა გამოვა 5. ა, ბ, გ, დ და ე პუნქტებით გათვალისწინებული აქტივობების ჯამი (64+50+6+3+2=125სთ) გაიყოფა 1 კრედიტის შესაბამის საათზე (1 კრედიტი = 25სთ).
უარყოფითი შეფასების (FX)-ის შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა დამატებითი დავალებები და ფასდება იმავე სემესტრში არანაკლებ 10 დღის შემდეგ.
უარყოფითი შეფასების (F) შემთხვევაში ასისტენტობის კურსი დოქტორანტმა უნდა გაიაროს თავიდან.

დანართი №2 შეფასების კრიტერიუმები

<u>ინსტრუქცია:</u>

1. **შეფასების სკალა**

შემფასებელი ხელმძღვანელობს შეფასების ოთხდონიანი სკალით, რომელიც განმარტებულია შემდეგნაირად:

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან - კრიტერიუმი შეფასებულია, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუ კვლევისას გამოყენებული მიდგომები და ნაშრომში წარმოჩენილი შედეგები სრულად უპასუხებს კრიტერიუმის მოთხოვნებს;

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან - კრიტერიუმი ფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუ ნაშრომიდან შესაძლებელია კრიტერიუმის შესაბამისი შედეგების წარმოჩენა, თუმცა ნაშრომს აქვს სუსტი მხარეებიც, რომელთა დაძლევა შესაძლებელია მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 6 თვისა);

ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ ნაშრომი საბაზო დონეზე აკმაყოფილებს კრიტერიუმის მოთხოვნებს, ასევე, აქვს ისეთი სუსტი მხარეები, რომელთა დასაძლევად საჭირო დრო და რესურსი სცდება ნაშრომის გასწორებისათვის სადოქტორო პროგრამითა და რეგულაციებით განსაზღვრულ დროს.

არ შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი ფასდება როგორც, „არ შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ ნაშრომი საბაზო დონეზეც კი ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმის მოთხოვნებს.

გთხოვთ, განსაზღვროთ ქულები მითითებული კრიტერიუმების გამოყენებით, შეფასების შესაბამისი სკალების მიხედვით.

2. **შემფასებლის დასკვნა**

შემფასებელი თემას აფასებს კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით, წარმოადგენს არგუმენტირებულ დასკვნას, ხოლო, კრიტერიუმიდან გამომდინარე ყურადღებას ამახვილებს ძლიერ და სუსტ მხარეებზე. სასურველია, შემფასებლის დასკვნა არ აღემატებოდეს 200 სიტყვას.

1. ლექციის ჩატარება: დოქტორანტი სათანადოდ არის მომზადებული, ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას. დასმულ შეკითხვებზე პასუხები სრულყოფილი, სწორი და დასაბუთებულია. დოქტორანტს გააზრებული აქვს და კარგად ერკვევა პრობლემურ საკითხებში. ეფექტურად, მიზნობრივად და კომპლექსურად იყენებს სწავლების მეთოდებს. შეფასება - მაქსიმუმ 30 ქულა

26-30 ქულა	შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
16-25 ქულა	მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
6-15 ქულა	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
0-5 ქულა	არ შეესაბამება მოთხოვნებს	

2. სემინარის ან/და პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება: დოქტორანტი სათანადოდაა მომზადებული, მობილიზებულია, დამაჯერებელია, კარგად ურთიერთობს ჯგუფთან, ჯგუფის თითოეული წევრი ჩართულია სასემინარო მეცადინეობის პროცესში. შეფასება - მაქსიმუმ 10 ქულა

9-10 ქულა	შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
6-8 ქულა	მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
3-5 ქულა	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
0-2 ქულა	არ შეესაბამება მოთხოვნებს	

3. **შუალედური/დასკვნითი გამოცდის საკითხების მომზადება: საკითხები მომზადებულია მიზნობრივად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული. საკითხები გამომდინარეობს სასწავლო პროგრამის შინაარსიდან და თანხვდება სწავლის მისაღწევ შედეგებს. შეფასება - მაქსიმუმ 10 ქულა**

9-10 ქულა	შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
6-8 ქულა	მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
3-5 ქულა	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
0-2 ქულა	არ შეესაბამება მოთხოვნებს	

4. **სტუდენტთა შუალედური შეფასებების/დასკვნითი გამოცდის ნაშრომების გასწორება: სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმებს იყენებს ზედმიწევნით კარგად. შეფასებისას არ დაუშვია შეცდომები. შეფასება - მაქსიმუმ 10 ქულა**

9-10 ქულა	შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
6-8 ქულა	მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
3-5 ქულა	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
0-2 ქულა	არ შეესაბამება მოთხოვნებს	

5. **საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება: რეცენზიის სტრუქტურა გამართულია. შეფასება შესრულებულია ზედმიწევნით, შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. რეცენზია ლოგიკურად უკავშირდება საბოლოო შეფასებას (დადებითს ან უარყოფითს). შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა.**

31-40 ქულა	შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
21-30 ქულა	მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
11-20 ქულა	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
0-10 ქულა	არ შეესაბამება მოთხოვნებს	

დანართი N3. შესრულებული სამუშაოს შეფასების ფორმა

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს ანგარიში

დოქტორანტის სახელი და გვარი _____

ფაკულტეტი _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები _____

შესრულებული სამუშაო	შესრულებული სამუშაოს ხანგრძლივობა	შეფასება
სადიპლომო ნაშრომის რეცენზირება	რაოდენობა: დრო:	
ლექცია	რაოდენობა: დრო:	
სემინარი/პრაქტიკული	რაოდენობა: დრო:	

შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის საკითხების მომზადება	რაოდენობა: დრო:	
შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის ნაწერის გასწორება	რაოდენობა: დრო:	

დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ის ხელმოწერა:

_____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

_____

თარიღი _____